# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა**




**განხორციელების ვადა:** 17.11.2017 - 31.03.2021

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 4 500 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
International Organization For Migration

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/VisafreeEurope/

**პროექტის ვებსაიტები:** www.informedmigration.ge

**პროექტის აღწერა:**

უკვე რამდენიმე წელია ევროკავშირი და საქართველო თანამშრომლობენ, რათა ხელი შეუწყონ ადამიანებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას და ამავდროულად, საზღვრების უსაფრთხოებას. ამ პროექტის მიზანია ევროკავშირს და საქართველოს შორის თანამშრომლობის ჩარჩო და სამთავრობო სამოქმედო გეგმების შესაბამისად საზღვრის ინტეგრირებული მართვის სფეროში საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერება და მიგრაციის მართვა.
პროექტი:
- ზრდის შესაბამისი სამთავრობო უწყებების შესაძლებლობებს საზღვრის მართვისა და არარეგულირებული მიგრაციისა და საერთაშორისო დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით
- ქმნის ტრენინგების მოდულს და ტრენერთა კვალიფიციურ გუნდს
- ავრცელებს ინფორმაციას ევროპაში უსაფრთხო მიგრაციის შესახებ
- ახდენს მიგრაციის მეინსტრიმინგს განვითარების პროცესებში
- კონსულტაციებისთვის იწვევს ევროპელ ექსპერტებს
- მნიშვნელოვან აღჭურვილობას გადასცემს სასაზღვრო კონტროლის მიზნით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- საქართველოს ხელისუფლებამ გააძლიერა საზღვრის დაცვა და უსაფრთხოება უკანონო გადაადგილების აღმოსაფხვრელად და ამავდროულად, საქართველოს საზღვარზე ადამიანების და ტვირთის კანონიერი დინების ხელშესაწყობად.
- საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით მოახერხა საზღვრის და მიგრაციის მართვის თემაზე ტრენინგ მოდულების შესაბამისი მოსამზადებელი დაწესებულებების კურიკულუმებში ინსტიტუციონალიზაცია და გააძლიერა სპეციალიზებული ლექტორების ექსპერტიზა და სწავლების უნარ-ჩვევები.